#4 აგვისტო 2014

ჯენარიელი



ჟან-ლუკ გოდარი

ძიგა ვერტოვის ჯგუფი

კრის მარკერი

მედვედკინის ჯგუფი

კრის მარკერი

კინო ხალხის ხელთ, ტრევორ სტარკი გვ.5
რა მმართებს კრის მარკერის, პატრიციო გუზმანი გვ.25
ინტერვიუ კრის მარკერთან გვ.31
უკანასკნელი ბოლშევიკი, კრის მარკერი გვ.39
წერილი ტერეზას, კრის მარკერი გვ.45

ჟან-ლუკ გოდარი

მანიფესტი, ჟან-ლუკ გოდარი გვ.51
ბაბილონამდელი ენა, პელეშიანის და გოდარის საუბარი გვ.52
თეორიზება-ტერორიზება (გოდარის პედაგოგიკა), სერჟ დანეი გვ.56

წიგნი: "სა.გა"-ს ეიზენშტეინის "ინტელექტუალური მონტაჟი" და
ვერტოვის "ადამიანი კინოაპარატით" გვ.62

წიგნი:

ეიზენშტეინის “ინტელექტუალური მონტაჟი”

ვერტოვის “ადამიანი კინოაპარატით”

(საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა.)

ალბათ, ლოგიკური იქნება, თუ ამ წერილს, სერგეი ეიზენშტეინის ციტირებით დავიწყებ: “ზოგადკულტურული ფასეულობების განვითარებაზე, პრინციპების ასიმილაციაზე, მიღწევებისა და მიგნებების გამოყენებაზე იმისათვის რომ კულტურა განვითარდეს - რასაკვირველია, საუბარი არც შეიძლება იყოს.. ყველაფერი კარგადაა. ყველაფერს ხეირი და სარგებლობა მოაქვს. კულტურის განვითარება? და ვის ანაღვლებს ეს?” ამ რიტორიკულ შეკითხვას, დიდი რეჟისორი, გასული საუკუნის 30-იან წლებში სვამდა. იგივე კითხვა, იმავენაირი პათოსითა და რიხით 21 საუკუნის საქართველოშიც შეიძლება დაისვას (და უნდა დაისვას). თუმცა, საბედნიეროდ, იშვიათად და ალაგ-ალაგ, მაგრამ მაინც, ამ რიტორიკულ კითხვაზე არსებობს აბსოლუტურად კონკრეტული პასუხები, და რაც მთავარია - დადებითი. ამ შემთხვევაში, ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი საზოგადოებრივი გამომცემლობა “სა.გა” გახლავთ, რომელმაც, “სარგებლობასა და ხეირს გადაგებული” საზოგადოების შეუმჩნევლად გამოსცა ისეთი ნამუშევრები, რომელთა თარგმანიც ნებისმიერ ქვეყანაში წლის განსაკუთრებულ კულტურულ მოვლენებს შორის მოწინავე ადგილებს დაიკავებდა (ავტორთა დასახელებაც კმარა: თეოდო რ ადორნო, მაქს ჰორკაიმერი, ვალტერ ბენიამინი და ა.შ.). თუმცა, გასაგებია რომ ჩვენი ჟურნალის პროფილის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ ინტერესს 2013 წელს გამოცემული წიგნები - სერგეი ეიზენშტეინის “ინტელექტუალური მონტაჟი” და ძიგა ვერტოვის “ადამიანი კინო-აპარატით” იწვევს”.

თუ სტანდარტულ ფორმულას დავუჯერებთ, ალბათ აქ უნდა აღვნიშნოთ რომ ეს ორი წიგნი არამხოლოდ სტუდენტებისთვის, კინო-მცოდნეებისა და სპეციალისტებისთვისაა, არამედ მკითხველთა ფართო წრისთვის (წმინდა საბჭოურ სტილში), მაგრამ ეს უბრალო და უსირცხვილო ტყუილი იქნება. ჯიბის წიგნის სერიის ეს პატარა წიგნები, ოთხ-ოთხ ტექსტს რომ შეიცავს, არამხოლოდ დაკვირვებით წაკითხვას საჭიროებს, არამედ ენთუზიაზმსაც. აბსოლუტურად შეუძლებელია ამ ტექსტების გაგება, ან უკეთ - გააზრება სულ მცირე, ამავე რეჟისორთა ფილმების ნახვის გარეშე. შესაბამისად ეს წვეთი, იმ თეორიულ ტექსტთა ოკეანიდან, რომელიც საბჭოთა კინოს პიონერების კალამს ეკუთვნის, მლაშეა, რომლის ათვისების შემდეგაც წყურვილი უფრო და უფრო გიძლიერდება. აქ, ოდნავ გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც ძალაში შედის ტრეტიაკოვის პრინციპი - მკითხველი თავად ხდება ავტორი, ვინაიდან მისი გამუდმებული კვლევა-ძიების, დაუსრულებელი შედარებებისა და აქტიური მონაწილეობის გარეშე, ეს ტექსტები საერთოდ ვერაფერს გვეუბნება.

ორივე წიგნს თან ახლავს საბჭოთა კინოს გერმანელი მკვლევარის ოქსანა ბულგაკოვას შესავალი, რომელიც დამწყებ მკითხველს , ექსპერიმენტების ამ დაუსრულებელ სამყაროში პირველ ნაბიჯებს მკვეთრად გაუადვილებს.

გამომცემლობა სა.გა სწორად მოიქცა როდესაც ეს ორი თითქოსდა მონათესავე ავტორი ერთად გამოსცა. მიუხედავად იმისა რომ ვერტოვიცა და ეიზენშტეინიც, ერთ ეპოქასა და ერთ “სკოლას” ეკუთვნიან, საკუთარი თავის მათეული აღქმა, შეხედულებები ხელოვნებაზე ზოგადად და კინოზე კონკრეტულად, მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. რაღაც თვალსაზრისით, ეს გახლავთ თეზა და ანტითეზა, ორი ურთიერსაწინააღმდეგო დეტალი, რომელიც ერთ მთლიანობას ადგენს.

ვერტოვი უფრო საკუთარ დაჯგუფებაზე, მიზნებზე და ზოგადად კინოს ადგილზე და როლზე წერს, ეიზენშტეინი კი მეტწილად, მეთოდებსა და ტექნიკაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ორი წიგნი სარკმელია, იმ სამყაროში გამავალი, სადაც კინო დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპების შესაბამისად იგებოდა, სადაც კამერას ადამიანსა და მის თვალზე მეტ უნარებს მიაწერდნენ, სადაც ფილმს მაყურებელთა ცნობიერება ისე უნდა გაეთელა როგორც ტრაქტორი, სადაც კინო ან ყველაზე მნიშვნელოვანი ხელოვნება იყო, ანდაც - საერთოდ გარიცხული გახლდათ მისი რიგებიდან.

© წყარო – »ჯენარიელო« N4
(http://www.mediafire.com/view/7t569d97zb8a94d/Gennariello+%234+0814.pdf), აგვისტო 2014, გვ. 62.
»ჯენარიელოს« ონლაინ გვერდი
https://www.facebook.com/gennariello1927